ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41252392**
თარიღი:**27/08/2025**

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' საქმიანობა 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს".
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2025 წლის I-II კვარტალში შესრულებული სამუშაოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2025 წლის ანგარიში

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის მუხ. 36-ის ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადებრივი ჯანმრთელობის სფეროში" - შესაბამისად საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს დელეგირებული აქვს შემდეგი უფლებამოსილებები. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ძირითად მიზნებსა და საქმიანობას წარმოადგენს:

1. პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროების შემთხვევაში.
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა.
3. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების მიღების შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურეობის ამბულატორიისა და პოლიკლინიკებისათვის.
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ პირთა მიერ „საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ „ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობა და კონტროლი.
5. საგანმანათლებლო - აღმზრდელობით დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზედამხედველობა-მონიტორინგი.
6. საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.
7. „ ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ " საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.
8. „C ჰეპატიტის ელიმინაციის მართვის სახ. პროგრამის" განხორციელების (სკრინინგი) მხარდაჭერა, მიდევნება და მკურნალობის პროცესში ჩართვის ზედამხედველობა.
9. მალარიისა და პარაზიტულ დაავადებათა კონტროლი.
10. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დეზინფექციისა და დეზინსექციის ღონისძიებათა ორგანიზება
11. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა.

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საშტატო ერთეული წარმოდგენილია 21 თანამშრომლით:

- ექიმი -8

- არასამედიცინო უმაღლესი განათლებით-8

- საშუალო სამედიცინო განათლებით-4

- სხვა-1

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება წარმოადგენს ქვეყნის ვალდებულებებს,რომელიც ასახულია ქვეყნის კონსტიტუციასა და ძირითად საკანონმდებლო აქტებში.

სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უზრუნველყოფს სენაკის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ 15 სოფლის სამედიცინო ამბულატორიასა და 10 სამედიცინო დაწესებულებას. ახორციელებს მათ ზედამხედველობას, კონტროლსა და ინფექციების პრევენციას. კერძოდ, ბავშვთა საავადმყოფო, „არქიმედეს კლინიკა", „დიომედი სენაკი" (დევნილთა პოლიკლინიკა), კლინიკა „მკურნალი", „ამბულატორიულ პოლიკლინიკური გაერთიანება", კლინიკა „ნიუმედი", სამშობიარო სახლი „სენა-მედი", შპს „სამშობიარო სახლი", „საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანება", შპს „ესკულაპი" და ვმუშაობთ მათთან სხვადასხვა მიმართულებით.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება წარმოადგენს ქვეყნის ვალდებულებას. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამოდინარე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს.

იმუნიზაცია

სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის იმუნიზაციის ჯგუფი უზრუნველყოფს, ჩვენს სამოქმედო არეალში - კერძოდ სენაკის მუნიციპალიტეტზე დაქვემდებარებულ 15 სოფლის საექიმო ამბულატორიასა და ქალაქის 5 სამედიცინო დაწესებულებას: ბავშვთა საავადმყოფოს, ,,არქიმედე"-ს კლინიკას, „დიომედ სენაკს" (დევნილთა პოლიკლინიკას) , კლინიკა „მკურნალს"-სა და შპს სამშობიარო სახლს ,,სენამედ"-ს.

ვუზრუნველყოფთ, 0-15 წლის ასაკის ბავშვთა კონტიგენტის ვაქცინაციის გეგმებს და პროფილაქტიკური აცრების ჩატარებას, ასევე აღნიშნულ უბნებში სამუშაო გეგმის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის ჩატარებას, რომლის მიზანია აცრების, ვაქცინების,

სააღრიცხვო ფორმების წესისამებრ რეგისტრაცია, აცრებით მოცვის მაჩვენებლის განსაზღვრა, დროულობის განსაზღვრა, ვაქცინების დანაკარგის განსაზღვრა ბრძანებით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით.

მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლენილი დარღვევების გასწორების გადამოწმება ხდება ხელმეორედ, მითითებული ვადის მიხედვით. აღნიშნულ პერიოდში სერიოზულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში ბ.ც.ჟ. ვაქცინით უნდა აიცრილიყო სულ 585 ახალშობილი და აიცრა 185 ახალშობილი, რაც შეადგენს 31,6%. B ჰეპატიტის ვაქცინით აიცრა 196 ახალშობილი ანუ 33.5% . კომბინირებული ჰექსა ვაქცინით გეგმიური 225 ბავშვიდან აცრა ჩაუტარდა 50 ბენეფიციარს ანუ 22,2%. 1 წლის ასაკის 225 ბენეფიციარიდან წ.წ. ყ. /წითელა, წითურა, ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრა 66 ბენეფიციარი ანუ 29,3% . 18 თვის ასაკის 233 ბენეფიციარიდან ტეტრა ვაქცინით აიცრა 62 ბენეფიციარი ანუ 26,6%. ტდ ვაქცინით აიცრა სულ 383 ბენეფიციარი ანუ 26,1 %.

5 წლის ასაკის ბენეფიციარებიდან მეორადი რევაქცინაცია უნდა ჩატარებულიყო 263 ბენეფიციარზე, აღნიშნულ კონტიგენზე აიცრა 81. პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 30,8%, 0-1 წლამდე ასაკის ბენეფიციართა რაოდენობიდან, რაც შეადგენს 225-ს. ჰექსა ვაქცინასთან ერთად როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგოდ აიცრა 58 ბენეფიციარი ანუ 24.4%. ხოლო იმავე კონტიგენტის პნევმოკოკის საწინააღმდეგო ვაქცინაცინაციის მაჩვენებელმა შეადგინა 59 ანუ 26,2%. 14 წლის ასაკის 383 მოცვის მაჩვენებელი არის 26,1%.

2025 წელს პაპილომა ვირუსის ვაქცინით იმუნიზაციის მოცვის გეგმა იყო 127 . ჩატარდა აპვ 1-გოგო-43-55,8 %, აპვ -ბიჭი-19-33,3 % .ხოლო აპვ 2-გოგო- 22-28,6%. აპვ-2-ბიჭი-12-21,1%.

წლიური მოცვა 2025 წლის I- II კვარტლის

	ბცჟ სამშობიაროს სახლი	ბ ჰეპატ სამშ. სახლი	ჰექსა 1	ჰექსა 3	ტეტრა 18 თვის	ტეტრა 5 წლის	R-18 წლის	R-2 5 წლის	წწ ყ 1 წლის	წ წ ყ 5 წ ლ ი ს	რ ო ტ ა 1	რ ო ტ ა 2	პნევმოკოკი 1	პნევმოკოკი 3	ტ დ 14 წ ლ ი ს
სენაკი	31.6 %	33.5 %	45.3 %	22.2 %	26.6 %	29.7 %	29.3 %	30.9 %	29.3%	%	37.8 %	24.4 %	46.2 %	24.9 %	26.4%

„ცივი ჯაჭვის“ განყოფილებიდან გაცემული ვაქცინების მიხედვით შესწავლილ იქნა თითოეულ ვაქცინაზე დანაკარგის კოეფიციენტი და შეადგინა -ბ-ც-ჟ- ვაქცინისათვის 3,9 ჰეპატიტის საწ. ვაქცინისათვის 1,1 , ჰექსა ვაქცინისათვის-1 . ტ.დ.ვაქცინისათვის 1,4. . წ.წ.ყ. ვაქცინისათვის 1,0 , პაპილომა ვირუსის საწ.ვაქცინისათვის -1. აღნიშნული დანაკარგების კოეფიციენტები შეესაბამება დანაკარგის კოეფიციენტების შესაბამის სტანდარტებს.

წლის ბოლოს გამოთვლილ იქნა 2025 წლისათვის საჭიროების / ასაცრელი მასალების / ცხრილი. ასევე გამოთვლილ იქნა ვაქცინების მინიმალური და მაქსიმალური მარაგის ფორმა და მოთხოვნა გადაეგზავნა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.

ჩვენს მიერ შედგენილი 2025 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით მონიტორინგი ჩაუტარდა 7 სოფლის საექიმო ამბულატორიას და ქალაქის სამედიცინო დაწესებულებებს.

2025 წლის შობადობის მაჩვენებელი

	შობადობა სულ	სენაკის მუნიციპალიტეტი			სხვა რაიონი
		ქალაქი	სოფელი	სენაკი სულ	
2020წ	1040	120	102	222	818
2021წ	970	162	95	257	713
2022	775	75	88	163	612
2023	617	88	70	158	459
2024	585	76	53	129	456
2025	185				

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, თანახმად დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2025 წლის მომართვისა, „იმუნიზაციის კვირეულის“ ჩატარების შესახებ, აპრილის ბოლო კვირას ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: შედგა შეხვედრა ქალაქის სამედიცინო დაწესებულებების უბნის პედიატრებთან, სოფლის საექიმო ამბულატორიების ამცრელ პერსონალთან, ასევე შედგა შეხვედრები სკოლებისა და საბავშვო-ბაღების ექიმებთან და მედდებთან, აღსაზრდელების მშობლებთან, იმუნიზაციის საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ, ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ასევე ადგილობრივ ტელევიზიაში განთავსდა

სარეკლამო რგოლი იმუნიზაციის კვირეულის მიმდინარეობის შესახებ და პრესაში გამოქვეყნდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო სტატია იმუნიზაციის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების ვიდეო და ფოტო მასალა კი განთავსდა სენაკის სჯც ვებ- გვერდზე.

ეპიდზედამხედველობა

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდგანყოფილება 2017 წლიდან ჩართულია C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში. ტარდება სკრინინგი სწრაფი ტესტით სახელმწიფო დაწესებულებებსა და მოსახლეობაში.

2025 წელს სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დაფიქსირდა შემდეგი დაავადებები: ქრ, B ჰეპატიტი-16; ქრ. ჰეპატიტი-C-142; დიარეა-73 ; საკვებისმიერი მოშხამვა-2649 ; შიდსზე ტესტირება ჩაუტარდა-157; მათ შორის ორსული 76; დადებითი-0; სიფილისი-25; დაკბენილ -დადორბლილთა რ-ბამ შეადგინა 511 ; მ/შ. ანტირაბიული მკურნალობის სრული კურსი ჩაიტარა 133; პირობითი კურსი- 327 ; შეწყვიტა მკურნალობა -50 ; წითელა-2 ,ბრუცელიოზი-4 ; ლეპტოსპიროზი-(საეჭვო- სავარაუდო) 12; ლეიშმანიოზი-0; ქუნთრუშა-0; ჩუტყვავილა - 0; ეშერიხიოზი-1; A ჰეპატიტი-0; გრიპისმიერი დაავადება-3078; ლაიმის დაავადება-1.

2018 წლიდან სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში ამოქმედდა C-ჰეპატიტის,აივ ინფექცია-შიდსის და ტუბერკულოზის პილოტური პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს ამ სამი დაავადების ნაადრევ გამოვლენას, მკურნალობის მართვას შორეული გართულების პრევენციისთვის. პროგრამის სამიზნე კონტიგენტს შეადგენდა მოსახლეობა 18-წლის ზემოთ.

აღნიშნული ელიმინაციის პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით.

სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს „C-ჰეპატიტის ელიმინაციის მართვის სახელმწიფო პროგრამის" მხარდაჭერას, მიდევნებას და მკურნალობის პროცესში ჩართვის ზედამხედველობას. პროგრამის განმახორციელებლები არიან სამედიცინო დაწესებულებები და სოფლის საექიმო ამბულატორიები.

2025 წელს C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა 326 ბენეფიციარი. მათ შორის დადებითი - 10.

C ჰეპატიტზე დადებით დადასტურებულ პაციენტთაგან შემდგომი კონფირმაციული კვლევა ჩაუტარდა 7 ბენეფიციარს. მკურნალობაში ჩაერთო -10.

დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამით ხორციელდება ორსულთა კვლევა კომბინირებული ტესტ-სისტემით (HCV, HIV, LUES,HBvsAg), რომლითაც 2025 წელს (I-II-კვარტალში) გამოკვლეული იქნა -100 ორსული.

ანტირაბიული მუშაობა 2025 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი ანტირაბიული კაბინეტი, მიმდინარე წელს ანტირაბიულ კაბინეტს მიმართა 511 დაზარალებულმა პირმა, მათ შორის 15 წლამდე ასაკის ბავშვი-139. ანტირაბიულ მკურნალობის სრული კურსი ჩაუტარდა 133 დაზარალებულს , პირობითი კურსი 327.

თითოეულ შემთხვევაზე ჩატარებულია ეპიდკვლევა, ინფორმაცია დროულად მიეწოდება სურსათის ეროვნულ სააგენტოს (ვეტ. სამსახურს). თვის ბოლოს ვაწარმოებთ მონიტორინგს თითოეულ შემთხვევაზე. დაცულია ,,ცივი ჯაჭვის" პირობები. გაგვაჩნია შრატებისა და იმუნოგლობულინის მარაგი. დროულად ხდება მარაგების შევსება.

	01	02	03	04	05	06	07	08	09	10	11	12
კონტაქტ.შემთხ.	77	72	68	98	84	102	157	182	127	90	55	84
მ.მ. 15 წლამდე	26	15	15	14	25	33	62	84	38	31	56	24
სრული კურსი	36	22	25	29	25	29	27	38	38	28	9	28
პირობითი	32	50	31	61	45	48	114	113	113	64	39	44
შეწყვეტილი	6	5	10	9	21	11	13	22	24	10	7	8

პარაზიტოლოგიური განყოფილება

პარაზიტოლოგიურ განყოფილებაში მიმდინარეობს ბენეფიციარების კვლევა ჰელმინთებზე და პროტოზოებზე, მათი მკურნალობა, ზედამხედველობა და გამოკვლევები ტარდება გეგმიურად.

პარაზიტოლოგიური განყოფილების მიერ 2025 წლის I-II კვ. გამოკვლეულ იქნა 95 პაციენტი. გამოკვლევების შედეგად დაინვაზირებული აღმოჩნდა 75-პაციენტი. მათ შორის ლამბლიოზი გამოუვლინდა -11 , ასკარიდოზი- 0, ენტერობიოზი- 64 .

ყველა დაინვაზირებულ პაციენტს დაენიშნა სათანადო მკურნალობა.

ტუბერკულოზის ეპიდზედამხედველობა

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სამსახურის მიერ წარმოებს ტუბ. კაბინეტის მუშაობის ეპიდ. ზედამხედველობა და მონიტორინგი. 2025 წლის I-II კვ. დადასტურდა ტუბერკულოზის 2-ახალი შემთხვევა. მოძიებულ იქნა კონტაქტირებული -8 პირი და ვახორციელებთ მათზე ზედამხედველობასა და კონტროლს. ლატენტურ მკურნალობას გადის 6, მათ შორის 3 ბავშვი.

პროფილაქტიკური მედიცინა

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროფილაქტიკური მედიცინის განყოფილება ახორციელებს ბავშვთა სკოლამდელ და სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზედამხედველობასა და მონიტორინგს.

მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულება: სკოლა- 21 საჯარო და 6- კერძო. ბაღი -27 საჯარო და 5-კერძო. მიმდინარე წლის განმავლობაში სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით მონიტორინგი I-II კვ. ჩაუტარდა-11 ბაგა-ბაღს. (მათ შორის -4კერძო ბაღს). 9 სკოლას-(მათ შორის 3 კერძო სკოლას).

ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების დროს ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჩატარდა მონიტორინგი სალონებში. სულ ფუნქციონირებს 52 სალონი . მ/წელს მონიტორინგი ჩაუტარდა-26 სილამაზის სალონს, მათ შორის 21 გეგმიური და 5 არაგეგმიური. ერთ სალონში გამოვლინდა ხარვეზები. მივეცით გონივრული ვადა და რეკომენდაციები რეგლამენტის შესაბამისად მდგომარეობის გამოსასწორებლად, რაც აღმოფხვრილ იქნა მცირე დროში. შევსებულია თითოეული სალონის შემოწმების აქტები.

„ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება“ შემეცნებითი სახით საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს. ემსახურება გადამდებ და არა გადამდებ დაავადებათა პრევენციას ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების საკითხებში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში მერიისა და საკრებულოს ხელშეწყობით, პერიოდულად მიმდინარეობს სხვადასხვა პროფილის ექიმთა კონსულტაციები და მოსახლეობის უფასო კვლევები.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება და სტრატეგია განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული კანონმდებლობით.

„ცივი ჯაჭვი და ლოჯისტიკა"

„ცივი ჯაჭვის" ლოჯისტიკის განყოფილების მიერ 2025 წელს სამედიცინო დაწესებულებებსა და სოფლის საექიმო ამბულატორიებზე გაიცა შემდეგი სახის

ვაქცინები: ბ.ც.ჟ - 800 დოზა, ჰექსა- 268დოზა, წ.წ.ყ.- 244 დოზა, B-ჰეპატიტი- 210 დოზა, როტა-170 დოზა, პნევმოკოკი- 274 დოზა, პაპილომა ვირუსი- 127 დოზა. ტ.დ.- 390 დოზა, ტეტრაქსიმი -253, ანტირაბიული- 1300 დოზა, ანტირაბიული იმუნოგლობურინი -240 დოზა, კომბინირებული ტესტი -100 ცალი.

2025 წელს მიღებული გვქონდა გრიპის ვაქცინა სულ-310 დოზა, რომელიც გაცემულ იქნა სამედიცინო დაწესებულებებზე.

2025 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით შემოწმდა სოფლის საექიმო ამბულატორიასა და სამედიცინო დაწესებულებებში „ ცივი ჯაჭვის" პრინციპი. / ვაქცინების და გამხსნელების ვარგისიანობა და ფორმა 1.7-ის ტემპერატურის აღრიცხვიანობა. ყოველი თვის ბოლოს ყველა დაწესებულებებიდან მიღებული ფორმა 1.8 -ის საფუძველზე გაკეთდა ჩატარებული აცრების ანგარიში.

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო დაწესებულებებსა და ყველა სოფლის ამბულატორიას, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისგან გადმოცემული აქვთ და აღჭურვილია სავაქცინე მაცივრებით, ელექტრონული თერმომეტრებითა და ვაქცინების ტრანსპორტირების ყუთით, რათა არ დაირღვეს „ცივი ჯაჭვის" ტემპერატურული რეჟიმი

ენტომოლოგიური განყოფილება

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს სეზონურად ანტიმალარიული საბონიფიკაციო სამუშაოები. კერძოდ, დევნილთა ჩასახლებაში (ყოფილი სამხედრო ქალაქი) სამუშაო გეგმის მიხედვით მუშაობა მიმდინარეობს ორ ეტაპად, პირველი ეტაპი მაისი-ივნისი, მეორე ეტაპი- ივლისი- აგვისტო.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ყოველ წელს, უსასყიდლოდ გადმოგვეცემა ანტიმალარიული პრეპარატი „სოლფაკი"- ინსექტიციდი, რომელიც გამოიყენება მწერების საწინააღმდეგოდ, კერძოდ კოღო ანოფელესის, რომელიც მალარიის გადამტანია. სწორედ, მალარიის პრევენციისთვის გამოიყენება აღნიშნული პრეპარატი.

2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის სამხედრო ქალაქის (დევნილთა დასახლება) დამუშავდა საცხოვრებელი სახლები, კორპუსის სადარბაზოები და სარდაფები, სკოლისა და ბაღის ტერიტორია.

მაისის თვეში მიღებული გვქონდა 60 კგ სოლფაკი. მაისიდან-აგვისტოს ჩათვლით დამუშავდა 120 000 კვ.მ. ფართობი, რისთვისაც გაიხარჯა 60 კლ. სოლფაკი (50გრ. სოლფაკი იხსნება 8ლ. წყალში და მუშავდება 100კვ.მ ფართობი).

2025 წლის 23 იანვარს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) საქართველო მალარისგან თავისუფალ ქვეყნად აღიარა და მოხდა სერთიფიცირება.

სამომავლო გეგმები:

1. დაავადებათა პრევენცია და მათი ადრეული გამოვლინება.
2. საგანგებო სიტუაციების დროს რისკების იდენტიფიცირება საზოგადოებაში.
3. ეპიდსიტუაციის მართვა.
4. სამიზნე კონტიგენტის აცრებით მაქსიმალური მოცვა, რათა ელიმინინირებულ იქნას ისეთი დაავადებები, როგორიცაა: დიფტერია, პოლიომიელიტი, წითელა, ყბაყურა, წითურა, ყივანახველა, ტეტანუსი, ჰიდროფოფია, სალმონელოზი, ჰეპატიტი-A, ბაქტერიული მენინგიტი.
5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობის გაძლიერება.
6. მოსახლეობის სანიტარული ცოდნის ამაღლება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მრავალი დაავადების პროფილაქტიკას.
7. გრძელდება პილოტური პროგრამა, რაშიც მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას, რომლის მიზანია აივ-ინფექცია -შიდსის, C-ჰეპატიტის, ტუბერკულოზის გამოვლენა პირველად ჯანდაცვაში და მათი დროული ჩართვა უფასო მკურნალობის პროგრამაში.

ფინანსური ანგარიში

2025 წელს სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა 219 600 ლარით.

N	ღონისძიებათა დასახელება	ხარჯი სულ: 181 910, 02
1	მომსახურეთა შრომის ანაზღაურება	173 448
2	მივლინება	180
3	ოფისის ხარჯები	8282,02
3.1	საკანცელარიო ნივთების შეძენა	508
3.2	სხვა საქონელი და მომსახურება	7774,02

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიეტეტის საზოგადოებრივი

ჯანდაცვის ც/ დირექტორი: /ა.ჭიჭალუა/